MES 2 22 0001378914

31/10/2022

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2022 წლის17 ოქტომბერს.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს(შემდგომში-საბჭო)წევრები:

1. კახა შენგელია - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პრეზიდენტი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ზურაბ ორჯონიკიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. გაგა გვენეტაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
5. ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

6. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
7. კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. ანა ფირცხალაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს“ სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
9. ელენე ჟურავლოვა - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ამავე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თამთა ანთიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ანა ქოიავა - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმი
დემეთ აქინი-რექტორი
გიორგი ცხვედიანი- ვიცე-რექტორი
ანი ქვათაძე-ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ლეილა ახვლედიანი-მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებათა სკოლის დეკანი

2. შპს მართვისა და კომუნიკაციების საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი
ნათია გოცაძე- რექროტი
მარიამ დარბაიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
მაკო ჯაოშვილი - კველევითი ცენტრის ხელმძღვანელი
ზვიად წულაია - სტუდენტებტან ურთერთობის სამსახურის უფროსი
თეა ლორთქიფანიძე - სკოლისდეკანი
სოფიკო სუპატაშვილი- ფინანსური სამსახურის ხელმძღვანელი
გიორგი აგირბაია - დონორებთან ურთიერთობების სამსახურის ხელძღვანელი
გიორგი ჭანტურია - საერთაშორისო ურთიერთობის სამსახური
ნინო არჯევნიშვილი - იურისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები(შემდგომში-ექსპერტები):

1. *ია ფანცულაია*
2. *ილია ბოცვაძე*
3. *ნინო პატარაია*
4. *ქეთევან აფთარაშვილი,*
5. *ნინო ამირანაშვილი,*

6. *გიორგი გვენეტაძე*

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. შპს მართვისა და კომუნიკაციების საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· **კი**

ცენტრის წარმომადგენელმა, ლალი ოდიშვილმა დააყენა შუამდგომლობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 16 ივლისის №583093 და 2021 წლის 08 ივლისის №689586 გადაწყვეტილებებში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ, ასევე დააყენა შუამდგომლობა შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხის განხილვის გადადებასთან დაკავშირებით, იმ მიზეხით რომ საბჭოზე დასწრებას ვერ ახერხებდნენ ექსპერტები.

სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრებმა დააკმაყოფილეს შუამდგომლობა, როს საფუველზე საბჭოს თავმჯომარემ წევრებს გააცნო დამტკიცებული დღის წესრიგი:

1.“შპს ევროპის უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ” უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 16 ივლისის №583093 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
2."შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის ავტორიზაციის შესახებ” უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 08 ივლისის №689586 გადაწყვეტილებაშიტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
3.შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. შპს მართვისა და კომუნიკაციების საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის

მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ საკითხის განხილვა;

წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული.

1. "შპს ევროპის უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 16 ივლისის №583093 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

2. "შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 08 ივლისის №689586 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა, ლალი ოდიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო 2021 წლის 16 ივლისის №583093 და 2021 წლის 08 ივლისის №689586 გადაწყვეტილებები და აღნიშნა, რომ საავტორიზაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გადამოწმდა, რომ შპს "ევროპის უნივერსიტეტის" და ""შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის" ავტორიზაციის შესახებ წარმოებები ჩატარდა, როგორც სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებებზე. ხოლო 2021 წლის 16 ივლისის №583093 და 2021 წლის 08 ივლისის №689586 გადაწყვეტილებებში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი და "სასწავლო უნივერსიტეტის" ნაცვლად მითითებულია "უნივერსიტეტი".
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შუამდგომლობა ეხებოდა 2021 წლის 16 ივლისის №583093 და 2021 წლის 08 ივლისის №689586 გადაწყვეტილებების პირველი პუნქტში დაშვებული ხარვეზის გამოსწორებას და შემდეგი სახით ჩამოყალიბებას:.

1. "შპს ევროპის უნივერსიტეტს (ს/კ: 201954956) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 3 500-ით."
2. " შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმს (ს/კ:445434888) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი), ერთი წლის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 450-ით."

პირველი საკითხი:
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა "შპს ევროპის უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 16 ივლისის №583093 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ამავე კანონის 63-ე მუხლის საფუძველზე, შესაბამისად, გასწორდეს "შპს ევროპის უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 16 ივლისის №583093 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზი და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი

ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქტირებით: “1. შპს ევროპის უნივერსიტეტს (ს/კ: 201954956) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 3 500-ით.

მეორე საკითხი:
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა "შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის ავტორიზაციის შესახებ” უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 08 ივლისის №689586 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ამავე კანონის 63-ე მუხლის საფუძველზე, შესაბამისად, გასწორდეს "შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის ავტორიზაციის შესახებ” უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 08 ივლისის №689586 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზი და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქტირებით: “1. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმს (ს/კ:445434888) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი), ერთი წლის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 450-ით.”

3. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ

წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ია ფანცულაიამ აღნიშნა, რომ შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის მიერ წარმოდგენილი იქნა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტაცია. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების თანახმად ექსპერტთა ჯგუფმა მოახდინა ბაუ ინთერნაშიონალ უნივერსითი - ბათუმის მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა დისტანციურად და მოამზადა დასკვნა. ექსპერტთა მიერ დადგენილი იქნა, რომ სასწავლო უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ყველა რეკომენდაცია და განახორციელა შესაბამისი ცვლილებები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები გაცემული იყო ყველა სტანდარტში გარდა პირველი სტანდარტისა, ჯამში 21 რეკომენდაცია, საიდანაც უმრავლესობა ეხებოდა ძირითადად კვლევის მიმართულებას (მე-6 სტანდარტი). რეკომენდაციები იყო გაცემული ასევე მე-2 სტანდარტთან მიმართებით, რომლებიც ძირითადად ეხებოდა პასუხისმგებლობის გამიჯვნის საკითხებს განმახორციელებელ პერსონალს შორის.

რაც შეეხება სამეცნიერო კვლევით მუშაობას, მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ ბევრი რეკომენდაცია იქნა გაცემული, რიგი რეკომენდაციები იმეორებდნენ ერთმანეთის შინაარსს. ძალიან დიდი ხაზგასმა იყო აკადემიური მკვლევარების მოზიდვის საკითხზე და შესაბამის სტრატეგიის განსაზღვრაზე, რის შედეგადაც უნივერსიტეტმა შეიმუშავა გარკვეული დოკუმენტი, რომელშიც გაიწერა სამოქმედო გეგმა სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ მე-7 სტანდარტში არსებული რეკომენდაციები ძირითადად ეხებოდა კონტიგენტის გაზრდის შემთხვევაში ბიბლიოთეკისა და სხვა ტექნიკური ბაზის გაზრდის საჭიროებას. აღნიშნული საკითხიც გათვალისწინებული იქნა უნივერსიტეტის მიერ, კერძოდ შეძენილი იქნა კომპიუტერები და გამოყოფილი იქნა მეტი სივრცე, რის დასტურადაც წარმოდგენილი იქნა შესაბამისი ნახაზები. ამასთან, სასწავლო და კვლევითი მიმართულებით დაწესებულებაში ფუნქციონირებდა შვიდი ლაბორატორია, რომელშიც მიმდინარეობდა ექვსი სამეცნიერო კვლევა და პროექტი. ასევე, სასწავლო უნივერსიტეტის ერთ-ერთი მიზანი იყო პერსონალის განვითარება და კვლევის მხარდაჭერა, რაც გაწერილი იყო კვლევის სტრატეგიაში. სასწავლო უნივერსიტეტი საკუთარი სახსრებით აფინანსებდა სამეცნიერო კვლევებს, პერსონალის საგანმანათლებლო საქმიანობაში მონაწილეობასა და სხვა საერთაშორისო/ეროვნულ სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და დაწესებულების წარმომადგენლებს მათ მიერ გაწეული შრომისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ავტორიზაციის შედეგად საკმაოდ ბევრი რეკომენდაცია იყო წარმოდგენილი, დაწესებულებამ საკმაოდ დიდი შრომა გასწია აღნიშნული რეკომენდაციების შესრულებისა და ცვლილებების იმპლემენტაციის მიზნით.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ რეალურად ავტორიზაციის ვიზიტი ჩატარდა უცხოელი ექსპერტების აქტიური მონაწილეობით პანდემიის მიწურულს ონლაინ რეჟიმში. ამ პროცესის განმავლობაში შეფასებასთან დაკავშირებით იყო რიგი გაუგებრობები, თუმცა მიუხედავად ამისა დაწესებულება ფოკუსირდა კვლევითი კომპონენტის გაძლიერებაზე. დაიწყო მუშაობა კვლევით აქტივობებსა და დონორებთან თანამშრომლობაზე, ასევე წარდგენილი იქნა რამდენიმე სამეცნიერო პროექტი რუსთაველის ფონდში. ამასთან ცვლილებების შედეგად გაიზარდა და უფრო გამჭვირვალე გახდა კვლევების დაფინანსების ღონისძიებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრმა, გაგა გვენეტაძემ აღნიშნა მე-3 სტანდარტთან მიმართებით არსებული რეკომენდაცია, კერძოდ "უნდა განხორციელდეს სტუდენტების პროგრესირებისა და შენარჩუნების მართვის, მხარდაჭერისა და მონიტორინგის პროცესი, რათა შემცირდეს შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა". ექსპერტებს დასკვნაში მითითებული აქვთ რომ აღნიშული რეკომენდაცია შესრულებულია და წარმოდგენილია შესაბამისი მექანიზმი, თუმცა მიუხედავად ამისა სტატუს შეჩერებული სტუდენტების რაოდენობა აჭარბებდა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობას. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა მხარეებს საკითხის დაზუსტებისკენ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ რეკომენდაცია გაცემული იყო იმ თვალსაზრისით, რომ გამოკვლეული ყოფილიყო მიზეზები, რაც უნივერსიტეტის მიერ იქნა გამოკვლეული და დასახელებული იქნა სამი მთავარი მიზეზი. თითოეული მიზეზი მეტნაკლებად იქნა აღმოფხვრილი.
ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა, ილია ბოცვაძემ განმარტა, რომ უნივერსიტეტმა კვლევის შედეგად დაადგინა სამი მიზეზი თუ რატომ ჰქონდათ სტუდენტთა დიდ ნაწილს სტატუსი შეჩერებული. პირველ მიზეზად დასახელდა გარკვეული სავიზო რეგულაციები. მეორე მიზეზი იყო ფინანსური საკითხი, კერძოდ სტუდენტებს დაუგროვდათ ფინანსური ვალდებულებები, რისი მიზეზიც გახდა პანდემია, შესაბამისად ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად უნივერსიტეტმა გადაუნაწილა სტუდენტებს სწავლის საფასურის გადახდის გრაფიკი. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს დროს ექპერტებისთვის არ იყო ცნობილი შემდგომი მონაცემები, დაწესებულები მიერ წარმოდგენილი რეაგირების მექანიზმები სრულიად რელევანტური იყო.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ანი კვარაძემ განმარტა, რომ საუბარი იყო წლიურ ანგარიშზე, შესაბამისად, დაწესებულების მიერ შემუშავებული რეაგირების მექანიზმები ვერ უზრუნველყოფა მყისიერ შედეგს. ამ მექანიზმებად უნდა იმუშაონ რათა ეტაპობრივად მიღწეული იქნას დასახული მიზანი. რეკომენდაციის მთავარი აზრი მდგომარებდა მიზეზების გამოკვლევაში, რაც დაწესებულებამ სრულად შეასრულა და შეიმუშავა შესაბამისი მექანიზმები.
დაწესებულების წარმომადგენელმა ლეილა ახვლედიანმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებიდან სტუდენტების გადინების ერთ-ერთი მიზეზი იყო აკადემიური მოსწრება. დაწესებულება საკმაოდ მკაცრად უდგებოდა გამოცდებს განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, მაქსიმალურად გააქტიურებული იყო პლაგიატის სისტემა. რაც შეეხება ფინანსურ საკითხს, დაწესებულებამ გადაუნაწილა აღნიშული პრობლემის წინაშე მყოფ სტუდენტებს გადახდის გრაფიკი, შესაბამისად საბჭოს განხორციელების პერიოდში დაწესებულებაში აღარ არსებობდა ამ მიზეზით სტატუს შეჩერებული სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 14:35 საათი
საბჭოს სხდომა განახლდა: 14:45 საათი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმისთვის ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 79[1] მუხლ ის მე-13 პუნქტისა და 103-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის (ს/კ: 445434888) ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

4.შპს მართვისა და კომუნიკაციების საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ საკითხის განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადა - გაგა გვენეტაძემ
საფუძველი- შეფასების პროცესში ოჯახის წევრის მონაწილეობა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს თავმჯდომარის დავალებით სხდომის მდივნის ფუნქციების შესრულება დაევალა **ნიკა თიკანაშვილს.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან
მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო პატარაიამ აღნიშნა, რომ შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ,,ალტერბრიჯ“-ში ავტორიზაციის მონიტორნიგის ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 26 ივლისს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ერთ დღიანი ვიზიტის ფარგლებში ფიზიკურად, ადგილზე მოხდა დაწესებულების შენობის/ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება. გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან განხორციელდა დისტანციურად, Zoom პლატფორმის მეშვეობით, წინასწარ განსაზღვრული განრიგის შესაბამისად.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას გაიცა ოთხი რეკომენდაცია, საიდანაც სამი სრულიად იქნა შესრულებული დაწესებულების მიერ ხოლო, ერთთან დაკავშირებით კვლავ საჭირო იყო მუშაობის გაგრძელება. კერძოდ, მიზანშეწონილი იყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შესახებ. უფრო მეტიც, რეკომენდებული იყო მათი ჩართვა ამ მექანიზმების შექმნის პროცესში. დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა ,,სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი'', რომლის შემუშავების პროცესში პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობა ინტერვიუს დროს არ დადასტურებულა, ამასთანავე, ინტერვიუს შედეგებით დადასტურდა, რომ უნდა გაიზარდოს მათი ინფორმირება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შესახებ შესაბამისი აქტივობების განხორციელებლით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა დასკვნაში მოცემული შესასრულებელი რეკომენდაციები, კერძოდ:

1. ოპერაციონალიზაცია, სასწავლო ელემენტების შემუშავება (სემინარები, კურსები, ლექციები), სწავლის შედეგების შეფასება, აკადემიური მოსწრების შესახებ უკუკავშირი და მიზანი 1-ის (საზოგადოების ინფორმირებისა და ნდობის შექმნა) ხარისხის კონტროლი (სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2026 წლებისთვის). მე-4 მიზნის გათვალისწინებით (სტუდენტების თვითრეალიზაციის ხელშეწყობა), ჩვენ რეკომენდაციას ვიძლევით შემუშავდეს მეთოდი და სისტემა მე-3 მიზნის (თვითრეალიზაცია) მიღწევის პროცესის დასაფიქსირებლად.
2. მიზანშეწონილია, რომ რექტორის უფლებამოსილება შეიზღუდოს და გადაწყვეტილების მიღება ხდებოდეს აკადემიური საბჭოს მინიმუმ 2/3 უმრავლესობით. ამასთანავე, არ უნდა შეიცვალოს აკადემიური საბჭოს, როგორც საკონსულტაციო ორგანოს სტატუსი.
3. სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმის შემუშავება ისე, რომ ცხადად ჩანდეს როგორ განივითარებს კომპეტენციებს სტუდენტი საჭირო კურსების ლოგიკური მიმდინარეობის პროცესში.

4. მიზანშეწონილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შესახებ. უფრო მეტიც, რეკომენდებულია მათი ჩართვა ამ მექანიზმების შექმნის პროცესში.
5. პერსონალის განვითარების მიზნობრივი ნიშნულების შემუშავება და მათი მიღწევის მექანიზმები

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებამ ბოლო 4 წლის განმავლობაში საკმაოდ დიდი პროგრესი განიცადა და წარმატებით ახორციელებდა არსებულ პროგრამას, დაწესებულებას აქვს კარგი ინფრასტრუქტურა და ჰყავს პროგრამების განმახორციელებლ პერსონალი, რომელთა უმრავლესობასაც აქვს დოქტორის ხარისხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ ინსტიტუცია უმაღლესი განათლების სფეროში მხოლოდ სამი წელია რაც ფუნქიონირებდა და ისიც საკმაოდ წარმატებულად. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამწლიანი სამოქმედო გეგმა 2019-2022 (სამწლიანი), რომელიც გამომდინარეობდა უსდ-ის მისიიდან და მომზადებულია ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობითა და უსდ-ის შესაძლებლობების გათვალისწინებით.

აღნიშნული ანგარიში მოიცავდა 9 ამოცანას, აქედან პირველ წარმოადგენდა უსდ-ს ცნობადობის შექმნა/ამაღლება, რის შედეგადაც დაწესებულებამ განსაზღვრა ყოველწლიური საკომუნიკაციო სტრატეგიის ბიუჯეტი. ასევე დაგეგმა პირდაპირი კომუნიკაციის აქტივობები (შეხვედრები აბიტურიენტებთან და პოტენციურ სტუდენტებთან, რამაც ცნობადობა მოუტანა დაწესებულებას, როგორც ინსტიტუციას.

რაც შეეხება მე-2 ამოცანას, ეს იყო განათლებისა და შრომის ბაზრის ეფექტიანი ურთიერთქმედების ხელშეწყობა. ამ პერიოდში სტრატეგიული კომუნიკაციის პროგრამა გადავიდა ავტორიზებული რეჟიმიდან აკრედიტებულ რეჟიმში. შესაბამისად აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ის რომ რეკომენდაცია არ შესრულებულა, აღნიშნულს დაწესებულება სრულიად არ დაეთანხმა. სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სრულიად თანხვედრაში იყო მოქმედ სტანდარტებთან. საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესება მუდმივად მიმდინარეობდა PDCA ციკლის პრინციპებზე დაყრდნობით. შესაბამისად, 2019 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა რჩევების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამას დაემატა სასწავლო კურსი - სოცმედია და ანტიკრიზისული კამპანიები. ასევე მოდიფიცირდა სწავლის შედეგების შეფასების რუკები. 2020 წლის აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციით, პროგრამის სასწავლო გეგმაში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ: სასწავლო კურსი ,,სტატისტიკური კვლევები" გადავიდა ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსების ბლოკში. სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით მაგისტრატურის დებულებაში ფორმულირდა განმარტება, რომ ,,სტუდენტებს მიმართულებების მიხედვით შეუძლიათ დამატებას შესაბამისი კომპეტენციების გასავითარებლად; შეარჩიონ სასურველი თემა შესაბამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით. მოცემული ეტაპისთვის აღნიშნული საგანმანათლებო პროგრამა შეტანილია რეაკრედიტაციაზე, მინიჭებული ჰქონდა მაძიებლის სტატუსი და მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმის წარმოება.

მნიშვნელოვანია ასევე მესამე ამოცანა, კერძოდ სტუდენტების ლოგიკური და სამეწარმეო აზროვნების განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნულზე მუშაობა იწყება სტუდენტის პროგრამაზე ჩარიცხვის შემდგომ. ინსტიტუციას თავდაპირველად ჰყავდა 8 სტუდენტი, ხოლო ბოლო მონაცემებით მათ ჰყავთ 72 სტუდენტი. დაწესებულება სრულიად ორიენტირებულია თითოეულ სტუდენტზე და მათ განვითარებაზე. მნიშვნელოვანია ასევე, რომ უნივერსიტეტი სრულიად უზრუნველყოფს სტუდენტების ყოველმხრივ ჩართულობას.

შემდეგ ამოცანას წარმოადგენდა კვლევითი პროექტების დაფინანსების სისტემის განვითარება, ამ კუთხით ექსპერტების მიერაც იყო არა ერთი რეკომენდაცია განსაზღვრული. უნივერსიტეტში მუდმივად ხორციელდება კვლევითი პროექტები და ინსტიტუცია ამ კუთხით საკმაოდ აქტიურად მუშაობს. ამასთან კვლავ გრძელდებოდა აკადემიური პერსონალის კვლევითი პოტენციალის გაძლიერების კუთხით მუშაობა და განვითარება.

მე-5 მიზანს წარმოადგენდა ხარისხის განვითარება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლები მუდმივად მუშაობდნენ. ამასთან, მე-6 მიზნის შესაბამისად, დაწესებულებამ მოახდინა ორგანიზაციული სტრუქტურის მოდიფიკაცია, რის შედეგადაც აღნიშნული გახდა მეტად მოქნილი.

უნდა აღინიშნოს ასევე ინტერნაციონალიზაცია, რომელიც სამოქმედო გეგმის მე-7 მიზანს წარმოადგენდა. ამ კუთხით დაწესებულებას ჰყავდა კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული გუნდი, რომელიც საკმაოდ აქტიურად მუშაობდა ამ კუთხით. ამ მიზნით უნივერსიტეტი აფართოვებდა და აღრმავებდა საერთაშორისო ურთიერთობებს, აძლიერებდა სასწავლო პროგრამებში უცხოენოვან კომპონენტებს, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, ნერგავდა ერთობლივ, გაცვლით და ორმაგი ხარისხის პროგრამებს, ხელს უწყობდა სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და მკვლევრების საერთაშორისო მობილობას, მონაწილეობდა საერთაშორისო მნიშვნელობის ღონისძიებებში, აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ნერგავს და ავითარებდა უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მექანიზმებს.

რაც შეეხება მე-8 მიზანს, სასწავლო უნივერსიტეტს მართლზომიერ მფლობელობაში ჰქონდა უახლესი სტანდარტებით აშენებული თანამედროვე დიზაინის შენობა, რომელიც სრულად იყო აღჭურვილი უსდ-ის საქმიანობის შესაბამისად. ხელსაყრელი ადგილმდებარეობა, ეკოლოგიურად სუფთა გარემო, ჯანსაღი კვების ობიექტი და სტუდენტებსა და პერსონალზე მორგებული კომფორტული სასწავლო/სამუშაო სივრცეები საუკეთესო პირობებს ქმნიდა სწავლისა და კვლევითი საქმიანობისთვის. შენობა სრულად ადაპტირებული იყო ეტლით მოსარგებლეთათვის.

მე-9 მიზანი გულისხმობდა ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფას, კერძოდ სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობა ორიენტირებული იყო სტუდენტებისათვის ხარისხიანი განათლების, კვლევისა და განვითარებისთვის სტაბილური გარემოს შექმნაზე, რისთვისაც უნივერსიტეტში შემუშავებული იყო ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მექანიზმები, ბიზნესუწყვეტობისა და პერმანენტულ განვითარებაზე ორიენტირებული სამოქმედო გეგმები. უსდ-ის ფინანსურ სტაბილურობას წინასაავტორიზაციო პერიოდში უზრუნველყოფდნენ დამფუძნებლები, რომლებიც ახორციელებდნენ ინვესტიციებს ბიუჯეტით წინასწარ განსაზღვრული ოდენობით და გრაფიკით. ღნიშნულით საწყის ეტაპზევე შექმნილი იყო სტაბილური ფინანსური რესურსი სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად. ამრიგად, სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა არის სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია უსდ-ის საქმიანობის ორიენტირები და პერსპექტივები. ხოლო სამწლიანი სამოქმედო გეგმა 2019-2022 სრულად ასახავს დასახული მიზნების მიღწევის საშუალებებსა და პასუხისმგებელ ერთეულებს, რომლებიც უზრუნველყოფენ უსდ-ის მიზნების ეფექტიან განხორციელებას. თითოეული მიზნისა და ამოცანისთვის განსაზღვრულია ვადა და შეფასების ინდიკატორი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ დარბაიძემ ისაუბრა 3.3 კომპონენტთან დაკავშირებით არსებულ რეკომენდაციაზე და განმარტა, რომ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან იყო მუდმივი კომუნიკაცია და ხდებოდა მათი ინფორმირებულობა, როგორც აკადემიური, ასევე კვლევით და სხვა მიმართულებებთან მიმართებაში, რაც მტკიცდებოდა საინფორმაციო მეილებით, შეხვედრების ჩანაწერებით და სხვ. ამასთან, ალტერბრიჯში ფუნქციონირებდა ორი ტრენინგ ცენტრი: ალტერბრიჯის ტრენინგ ცენტრი და ინოვაციური განათლების ცენტრი, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილია პერსონალისთვის სისტემატიური ტრენინგების, ვებინარებისა და ვორქშოფების ჩატარება.

მასთანავე, აღნიშნა, რომ დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება აღნიშნული მიმართულებით და ახალ სასწავლო წელს საქმის წარმოება დაიწყება e-flow-ს მეშვეობით, რის შედეგადაც დაიწყებოდა ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვის პროცესი.
უნდა აღინიშნოას ასევე, რომ დაწესებულებაში არსებობდა დოკუმენტი ,,სწავლის შედეგების შეფასების წესი", რომელშიც დეტალურად იყო გაწერილი თუ როგორ უნდა გაიწეროს სწავლის შედეგები, რომ უნდა იყოს გაზომვადი, ბლუმის ზმნებით და აშ. ყოველსემესტრულად დაწესებულებაში მზადდება აკადემიური მოსწრების სტატისტიკა. დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სწავლის შედეგების რუქები. სწავლის შედეგების რუქების ერთ-ერთი დანართია პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასება და სამიზნე ნიშნულები გაუსის დადარების მეთოდოლოგიით, რომელშიც ხდებოდა ჯვარედინი შეფასება და აკადემიურ მოსწრების მონიტორინგთან დადარება. შესაბამისად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სტუდენტთა აკადემიურ მხარდაჭერის მექანიზმად.
მნიშვნელოვანია ასევე, რომ სასწავლო უნივერსიტეტის ორგანიზებითა და სრული დაფინანსებით ტრენინგებსა და სემინარებს ახორციელებდა ,,ინოვაციური განათლების ცენტრი" და ,,ალტერბრიჯის ტრენინგ ცენტრი". აღნიშნულ ტრენინგებსა და სემინარებზე აკადემიური პერსონალი ღებულობს მნიშვნელოვან კომპეტენციას სწავლის და სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ (შერეული სწავლება, დისტანციური სწავლება და სხვა), რომელთა დანერგვა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს პროგრამის წარმატებულ განხორციელებაში. ტრენინგების ციკლი მოიცავდა შემდეგ თემებს: აკრედიტაციისთვის საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება; კვლევის და კვლევითი პროექტების სწორად დაგეგმვა და განხორციელება; აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების განვითარება. იგეგმება ასევე აკადემიური პერსონალისთვის ახალი ტრენინგ მოდულების შექმნა და ტრენინგების ჩატარების ორგანიზება.
2020 წლიდან ჩატარებულია სამი სამეცნიერო კონფერენცია. ასევე რამდენიმე კვლევითი სამუშაო საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგობრივი მახასიათებლების შესწავლისა და საგანმანათლებლო პროექტების გასაუმჯობესებლად, შრომის ბაზრის ანალიზის განსახორციელებლად. გამოცემულია ელ-ჟურნალის სამი ნომერი, მიმდინარე წლის ზაფხულში ცხადდება მე-4 ნომრისთვის სამეცნიერო სტატიების მიღება. ამასთან, დაწესებულება ქმნიდა კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერ სისტემას, რომლის მეშვეობითაც ყალიბდება კვლევებზე პასუხისმგებელ პირთა ფუნქციები, კვლევის შეფასების ინდიკატორები, საგრანტო პროექტებში მონაწილეობის პირობები, კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წყაროები, საუნივერსიტეტო კვლევების ინფორმაციული მხარდაჭერის უზრუნველყოფა, აკადემიური პატიოსნება და ინტელექტუალური საკუთრების დაცვა. საანგარიშო პერიოდში უსდ-მ შეიმუშავა კრიტერიუმები, რომლითაც რეგულირდება დასაფინანსებელი პროექტების პრიორიტეტები და დაფინანსების მოცულობა. სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შიდა საგრანტო პროექტების გამოცხადების წესი და ასევე აკადემიური/აფილირებული პერსონალის კვლევითი ინიციატივის დაფინანსება.
მნიშვნელოვანია ასევე, რომ დაწესებულებაში ყველა პროცესში ჩართულები იყვნენ სტუდენტები და აფილირებული პერსონალი. აკადემიური და სკოლის საბჭოს შემადგენლობაში შედიან სტუდენტები, დაწესებულებაში არსებობს აბიტურიენტებთან და სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახური, რომელიც მჭიდრო კომუნიკაციაშია სტუდენტებთან. რაც შეეხება აფილირებულ პერსონალს ყველა აკადემიურ პროცესში ისინი სრულიად იყვნენ ჩართულნი და ამას ადასტურებს კვლევები - სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა; აკადემიური/მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა. აღნიშნული დოკუმენტაცია გამოთხოვილი და მიწოდებული იქნა ვიზიტის დღეს.
უსდ-ის შემუშავებული ჰქონდა კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების სისტემა და აქტიურად იყენებს შეფასების შედეგებს კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისათვის. შემუშავებულია აკადემიური /აფილირებული პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის კითხვარები, რომელშიც დეტალურად იყო

გაწერილი შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები. აფილირებული პერსონალი ვალდებულია წლის ბოლოს წარმოადგინოს აღნიშნული თვითშეფასების ფორმა, რომლის გადამოწმებაც პარალელურად ხდებოდა კვლევითი საქმიანობის ცენტრისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. აღნიშნული შეფასების შევსებული ფორმები წარმოდგენილი იქნა ექსპერტთა ვიზიტის დროს. წლის ბოლოს კვლევითი საქმიანობის ცენტრი აქვეყნებს ანგარიშებს განხორციელებული კვლევების შესახებ; აღნიშნული ანგარიშს, თან ერთვის რეკომენდაციები კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შემდგომ განვითარებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრი, ნიკა თიკანაშვილი მიესალმა ექსპერტებს და დაწესებულების წარმომადგენლებს. გი დაინტერესდა "საზოგადოებრივი ურთიერთობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით და დააზუსტა ამჟამად პროგრამა ხორციელდებოდა ავტორიზებულ რეჟიმში და მიმდინარეობდა წარმოება აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნათია გოცაძემ განმარტა, რომ საუბარი იყო "სტრატეგიული კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც საწყის ეტაპზე ხორციელდებოდა ავტორიზებულ რეჟიმში, თუმცა შემდგომ პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია და მიენიჭა აკრედიტაცია ორი წლის ვადით, ახლა მათ ჰყავთ კურსდამთავრებულთა პირველი ნაკადი და აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით დაწყებული იყო რეაკრედიტაციის პროცესი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ დარბაიძემ "საზოგადოებრივი ურთიერთობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამა იყო ავტორიზებულ რეჟიმში, რომელიც ამჟამად იყო მილევად რეჟიმში, რადგან დაწესებულებას ჰქონდა ახალი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აღნიშნული მიმართულებით, კერძოდ ეს იყო "მასკომუნიკაციის" საბაკალავრო პროგრამა.
საბჭოს წევრი, ნიკა თიკანაშვილი ასევე დაინტერესდა დაწესებულებაში თუ იყო დაფუძნებული სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო.
აღნიშულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ განხორციელდა სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები და ელოდებოდნენ საბოლოო შედეგებს.
საბჭოს წევრმა, კონსტანტინე სირბილაძემ უცხოელ სტუდენტებთან დაკავშრებით აღნიშნა, რომ ანგარიშში ჩანს მხოლოდ სამი სტუდენტი და დააზუსტა თუ საიდან იყვნენ აღნიშნული სტუდენტები და რა პროგრამებზე სწავლობდნენ.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ წინა წელს ინგლისურენოვან ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია. ამ ეტაპზე მოცემულ პროგრამაზე დაწესებულებას ქართველ სტუდენტებთან ერთად ჰყავს სამი ნიგერიელი სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 15:30 საათი
საბჭოს სხდომა განახლდა: 15:45 საათი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მართვისა და კომუნიკაციების საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯისთვის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" 103-ე მუხლის პირველი პუნქტის; 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს შპს მართვისა და კომუნიკაციების საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 17 ოქტომბრის15:50საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გვენეტაძე გაგა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო

სხდომის მდივანი
თიკანაშვილი ნიკა